გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 3
(11 664)

17 – 20 იანვარი (პარასკევი – ორშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 2002 წლის საუკეთესონი „ლელოს" ნომინაციებში

— *წლის აღმოჩენა — ყველაზე პერსპექტიული დებიუტანტი ზვიად ხანჯალიაშვილი (ძიუდო);*
— *წლის საუკეთესო სპონსორი — გოგი თოფაძე* (სპორტის ზამთრის სახეობები);
— *საუკეთესო გუნდი* — ძიუდოს ნაკრები;
— *საუკეთესო მწვრთნელი* — შოთა ხაბარელი;
— *საუკეთესო ფედერაცია* — ჭიდაობის ფედერაცია;
— *საუკეთესო სპორტსმენი ქალი* — ნინო სალუქვაძე (ტყვიით სროლა);
— *წლის მეცენატი* — ბადრი პატარკაციშვილი;
— *წლის საუკეთესო სპორტსკოლა* — „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლა;
— *საუკეთესო მწვრთნელი ბავშვთა შორის* — მამა-შვილი ბართაიები (წყალში ხტომა);
— *მოზარდთა ყველაზე პერსპექტიული ნაკრები* — წყალში ხტომის გუნდი.
— *საუკეთესო სპორტკომიტეტი რაიონებს შორის* — თელავის რაიონი;
— *საუკეთესო სპორტკომიტეტი ქალაქებს შორის* — ფოთი;
— *საუკეთესო მხარეებს შორის* — შიდა ქართლი;
— *საუკეთესო ავტონომიურ ერთეულებს შორის* — აჭარა;
— *საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებს შორის* — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია;
— *საუკეთესო სპორტული კლუბი* — გ. კანდელაკის სოფ. ვარიანის მოკრივეთა კლუბი;
— *საუკეთესო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში* — თბილისის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სექტორი;
— *წლის დაუვიწყარი მოვლენა* — ქართველ მორაგბეთა გასვლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე;
— *ყველასათვის სასურველი ფედერაციის პრეზიდენტი* — გოჩა ძასოხოვი.

## ბორჯღალოსნების ლომები



დიდი ხანი არაა, რაც საქართველოში რაგბის მხარდამჭერთა ლიგა შეიქმნა, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს რაგბის კავშირთან. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ გუშინწინ ქართველ მორაგბეთა გასული წლის მონაგარის ღირსეულად შეფასება-დაფასების შთამბეჭდავი ღონისძიება გაიმართა. თითქმის მთელი ქართული სარაგბო თემისა და რჩეული საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით, ჩვენს ლომგულა ბიჭებს კინოთეატრ „ამირანში" მედლები და დიპლომები საზეიმოდ გადაეცათ.

პატივი მიაგეს აგრეთვე, ბავშვთა გუნდებს, რომლებიც უფროსების ნაკვალევზე ჭეშმარიტ რაინდებად იზრდებიან.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ მოიხილა რა შარშანდელი წარმატებები, წლევანდელი წელი გარდამტეხ წლად დაასახელა და ეს მართლაც ასეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

ზემოხსენებულმა ლიგამ ჩაატარა გამოკითხვა და საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ თბილისის „ლელო-ორბელის" მეცხრე ნომერი მერაბ კვირიკაშვილი დაასახელა, საუკეთესო ლეგიონერად – ლევან ცაბაძე, წლის საუკეთესო მწვრთნელად ბათუმის დათვებისა და აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მგელაძე გამოცხადდა. საუკეთესო მენეჯერად დასახელდა აჭარელთა გუნდის პრეზიდენტი ილია წულუკიძე.

## ნომერში წაიკითხავთ:

❖ უორდროპი თიანეთში
● აზმაიფარაშვილი საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე ოცნებობს
❖ ფეხბურთში საქართველოს მე-14 ჩემპიონატის მეორე ეტაპის კალენდარი
● 101 უნიკალური ვარჯიში მომავალი ნორჩი ფეხბურთელებისათვის
❖ როგორ განიცდის მატჩის წაგებას კობა კობაიძე
● თქვენთვის, ერუდიტებო!
❖ კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

## გამოხმაურება წერილზე „ერთად ვიმსჯელოთ"

# ხომ დავივიწყეთ, მოდით, ახლა ისევ გავიხსენოთ...

ჩემი აზრით, სანამ სპორტში მომეცადინეთა ოსტატობის და კვალიფიკაციის მომეცადინეთა განმსაზღვრელი ნორმატივების კლასიფიკაციას შევქმნიდეთ, აუცილებლად მიმაჩნია გადავხედოთ იმ დაკარგულ სისტემას, რომელიც წარსულში გვქონდა. თუნდაც იმიტომ, რომ სპორტული თანრიგი მივანიჭოთ, საჭიროა აღდგეს ფიზკულტურის კოლექტივი (საბჭო, სათათბირო ან სხვა) სასწავლებლებში, წარმოებადაწესებულებებში და სხვა. ქ. თბილისში მესამე წელია გაუქმებულია რაიონული სპორტული კომიტეტები. საინტერესოა, ვის აძლევდა ეს ხელს (მთელ საქართველოში არის სპორტკომიტეტები). ამით ხომ დიდად დაზარალდა ქალაქის რაიონებში ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. განსაკუთრებით საცხოვრებელ ადგილებში, სადაც თავის დროზე ბლომად შეიქმნა მარტივი მოედნები. საერთოდ, დღემდე არ არის გარკვეული ვის ბალანსზე ირიცხება ეს სპორტული მოედნები და მისი მიტაცებაც მოსწრებაზეა. ვეთანხმები „ლელოს" წლევანდელ პირველ ნომერში თერჯოლის რაიონის სპორტული ღონისძიებების მუშაობის ორგანიზატორ კოტე ჩარექიშვილის გამოთქმულ წინადადებებს.

რაც შეეხება „მშდ"-ს ნორმატივების მიღება-ჩაბარებას, ის გვინდა თუ არა, გარკვეულწილად მაინც რჩება ჩვენი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად. მაგალითად, დღეისათვის ყველა სასწავლო პროგრამა საშუალო სკოლებში, კოლეჯებში, ლიცეუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში და აკადემიებში შედგენილია იმ ძველი, მაგრამ მეტად საჭირო „მშდ" კომპლექსიდან გამომდინარე. საყოველთაოდ ცნობილია „მშდ" კომპლექსის განვითარების ისტორია. ძალიან დიდი პოპულარობით იყენებენ რიგი ცივილიზებული ქვეყნები ამ და მსგავს კომპლექსებს.

ამჟამად მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მასობრივი სპორტული მოძრაობა „სპორტი – ყველასათვის", ამერიკელი მოზარდებისათვის აუცილებელი სპორტული კომპლექსი („პრეზიდენტის ტესტი") სწორედ „მშდ" კომპლექსის წაბაძვითაა შედგენილი. იგივე „მშდ"-ს მცირედი შესწორებით მოედო დღეს მთელ მსოფლიოს „პოლიატლონი" (7 წლიდან – სიბერემდე), რომელშიც ტარდება ზაფხულისა და ზამთრის ეროვნული, ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონატები. მსოფლიო ფედერაციაში გაერთიანებულია საქართველოს მოსახლეობისა და მასობრივი სპორტის ეროვნული ფედერაცია, რომელსაც არც ერთ ღონისძიებაში უსახსრობის გამო არ მიუღია მონაწილეობა. ჯერ არ ჩატარებულა არც თბილისის, არც საქართველოს ჩემპიონატები „პოლიატლონში", ნუთუ საქართველოს არ სჭირდება ჯანსაღი თაობა, ფიზიკურად ჯანმრთელი ერი, ქვეყნის დასაცავად მზადმყოფი ახალგაზრდობა? 2002 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზერული თანა 0,2 პროცენტი ყოფილა გამოყოფილი მასობრივი სპორტისათვის. სამწუხაროდ, „პოლიატლონის" განვითარებაზე ერთი თეთრიც არ დახარჯულა...

ნუზა გაბოშიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი.

## ახალი საფეხბურთო გამოცემა

1988 წელს პირველად ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ფეხბურთის ორი ცნობილი სპეციალისტის ჟან ლიუკ ჩესნოსა და ჟერარ დიურეს საინტერესო წიგნი „ფეხბურთი, საბაზო ტექნიკის სწავლება", რომელიც ახლახან რუსულ ენაზეც დაისტამბა მოსკოვში. წიგნი განკუთვნილია საზოგადოებრივი მწვრთნელებისთვის, რომლებიც საფეხბურთო მოედნებზე მიდიან და პირადი ენთუზიაზმით ავარჯიშებენ არა პროფესიონალ სპორტსმენებს, არამედ ფეხბურთის მოყვარულ ბავშვთა ჯგუფებს და ეხმარებიან მოზარდებს აითვისონ დიდებული თამაში – ფეხბურთი.




აღსანიშნავია, რომ წიგნის გარეკანზე ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, გამორჩეულად ტექნიკური მოთამაშის, ამქვეყნიდან უდროოდ წასული დავით ყიფიანის ფოტოა აღბეჭდილი.

## იყო ასეთი შემთხვევა... შუქი სტადიონზე საბჭოთა ეპოქაშიც გაითიშა

ეს მოხდა 1979 წელს უეფას თასზე მოსკოვში. „ტორპედო" ხვდებოდა „ბაიერნს". როცა ანგარიში 3-0 იყო „ბაიერნის" სასარგებლოდ, სტადიონზე უეცრად შუქი გამოირთო. მასპინძლები აწრიალდნენ და შეეცადნენ, რაც შეიძლება ჩქარა დაეყოლიებინათ სტუმრები მატჩის გადათამაშებაზე, რაც ტორპედოელებს აძლევდა ხელს – პირველი მატჩი გერმანელებს შინ 0-1 ჰქონდათ წაგებული. გადათამაშება არანაირად არ შედიოდა „ბაიერნის" ინტერესებში და მისმა ხელმძღვანელობამ იმდენი „ივაჭრა", იმდენი დრო მოიგო კამათში, რამდენიც საჭირო იყო დაზიანების აღსადგენად. მატჩი დასრულდა გერმანელთა გამარჯვებით...

## „ჩელინჯის" თასზე



როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, „აზოვმაშთან" პირველი მატჩის წაგების შემდეგ, „ჩელინჯის თასზე" ჩვენს „დინამოს" ჯგუფიდან გასვლის ყველანაირი შანსი დაეკარგა. ახლა განმეორებით მატჩში სტუმრად, მარიოპულში თბილისელები კვლავ დამარცხდნენ 95:111 (ამჯერად 16 ქულის სხვაობით, ანუ ერთი ქულით მეტით). ჩვენმა კალათბურთელებმა თავი იმით დაიმშვიდეს, რომ აზოვმაშელები ლიდერებით გაძეძგილ გუნდად ჩათვალეს. ლევან მოსეშვილმა კი თავისი გუნდის მარცხი კვლავ დაცვაში უსუსური თამაშით ახსნა, საქართველოს ჩემპიონატში კი თურმე შეუძლებელია ამ ნაკლის გამოსწორება, რადგან აგრესიულად მხოლოდ 2-3 გუნდი თუ თამაშობს. აზოვმაშელებს კი ძლიერ გუნდებთან უწევთ ოსტატობის ამაღლება უკრაინის ჩემპიონატში. შეუძლებელია არ დაეთანხმო გამოცდილ ქართველ მწვრთნელს თვითკრიტიკაში.

რაც შეეხება „აზოვმაშს", მთავარი მწვრთნელის განცხადებით ამ გუნდის საბოლოო მიზანია თასის მოგება, მით უფრო, რომ გამორიცხული არ არის ოთხთა ფინალში მათ შინ, მარიოპულში მოუწიოთ თამაშმა.

„დინამოს" შემადგენლობა: აბრამიძე (14 ქ.), ოჰანესიანი (2), ბეჟანიშვილი (19), თორთლაძე (25), ნაცვლიშვილი (1), ნინიაშვილი (3), ვენსკუნასი (20), მუპე (7), ჩხეიძე (4).

მთავარი გაზეთი სპორტი

## ციტატა

**როგორც ცნობილია, ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირს კვლავ დაუბრუნდა სალიცენზიო ასპარეზობის სტატუსი. ამასთან დაკავშირებით „მთავარი გაზეთი სპორტი" წერს:**

„რიგით 30-ე ტურნირი ზედ იანვარ-თებერვლის მიჯნაზე იმართება — 31 იანვარს დაწყებული მეორე დღესვე, პირველ თებერვალს დამთავრდება. ამ თარიღის მოახლოების კვალდაკვალ თბილისში, სათანადო სტრუქტურებში, საქმიანი ფუსფუსი სულ უფრო იზრდება. გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვთან საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა (ის ამ კომისიის თავმჯდომარეა), რომლის დასრულების შემდეგაც მისმა მონაწილეებმა უშუალოდ სპორტის სასახლეში გადაინაცვლეს, სადაც დაათვალიერეს სპორტული არენა და იმსჯელეს ცალკეულ დეტალებზე".

16 იანვარი, 2003 წ.

## საჭადრაკო მატრიარქატი პოლგარის შესრულებით

ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ფავორიტები ქულებს კარგავენ. ტურნირში მონაწილე ერთადერთი ქალი უნგრელი მოჭადრაკე იუდით პოლგარი ტრიუმფით განაგრძობს ასპარეზობას და უკვე ლიდერათაც მოგვევლინა. მისი ბოლო მსხვერპლი თვით ანატოლი კარპოვი გახლდათ. ახლა მან აშკარად გადაუსწრო პირველი ადგილის მაძიებელ ოთხ უძლიერეს მამაკაცს — კრამნიკს, ბარეევს, შიროვს და ანანდს, რომლებსაც 2,5-2,5 ქულა აქვთ, ცხრილის სათავეში კი სამი ქულით იუდით პოლგარია.



 აი, როგორ გამოიყურება ცხრილი:

| | პ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| პოლგარი | 4 | 2 | 2 | 0 | 3,0 |
| კრამნიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 2,5 |
| ბარეევი | 4 | 2 | 1 | 1 | 2,5 |
| შიროვი | 4 | 1 | 3 | 0 | 2,5 |
| ანანდი | 4 | 1 | 3 | 0 | 2,5 |
| ტოპალოვი | 4 | 1 | 2 | 1 | 2,0 |
| კარპოვი | 4 | 1 | 2 | 1 | 2,0 |
| ვან ველი | 4 | 0 | 4 | 0 | 2,0 |
| ივანჩუკი | 4 | 0 | 4 | 0 | 2,0 |
| გრიშჩუკი | 4 | 0 | 4 | 0 | 2,0 |
| პონომარევი | 4 | 1 | 1 | 2 | 1,5 |
| ტიმანი | 4 | 0 | 3 | 1 | 1,5 |
| კრასენკოვი | 4 | 0 | 2 | 2 | 1,0 |
| რაჯაბოვი | 4 | 0 | 2 | 2 | 1,0 |

ATHENS 2004

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 7 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 1 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

## უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

მთასვლა

## თსუ ალპინიადების ტრადიციას ინარჩუნებს

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ შეაჯამა 2002 წლის მასობრივი ასვლების კონკურსის შედეგები, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სტუდენტთა და თანამშრომელთა ტრადიციულ 59-ე ალპინიადაში, რომელიც სამ ეტაპად ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მონაწილეობდა და მთამსვლელობას ეზიარა 350-ზე მეტი ახალბედა. (შ. მირიანაშვილი, დ. დანგაძე).

მეორე ადგილი, თანაბარი ქულებით გაიყვეს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა (ალპინიადის უფროსი შ. ელისაშვილი) და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტმა (ბ. ტატიშვილი). მესამე ადგილი ხვდა გორის ალპინისტურ-ტურისტულ კლუბ „ტონთიოს" (ა. ცერცვაძე), გ. ნიკოლაძის სახელობის გარდამავალი თასი გადაეცა თსუ-ს.

დასახელდნენ აგრეთვე საუკეთესო მთამსვლელები და მწვერთნელები.

**საუკეთესო მთამსვლელები** (ანბანით)



*აფი გიგანი*

1. აფი გიგანი
2. ბიძინა გუჯაბიძე
3. გია თორთლაძე
4. ირაკლი კორძახია
5. ზურაბ კუპავა
6. გელა ოთარაშვილი
7. ირაკლი ქღენტი
8. ირაკლი უგულავა
9. ბენო ქაშაკაშვილი
10. მერაბ ხაბაზი
11. მამუკა ციხისელი
12. მერაბ ნემსიწვერიძე.

**საუკეთესო მწვრთნელები**

1. დიმიტრი დანგაძე — სამხატვრო აკადემია
2. შოთა ელისაშვილი — სტუ
3. ჯუმბერ კახიანი — მესტია
4. ზურაბ კუპავა — თბილისი
5. ვაჟა მათითაიშვილი — თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემია
6. ზურაბ სუჯაშვილი — ყაზბეგი
7. ბესარიონ ტატიშვილი — თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი
8. ალექსანდრე ცერცვაძე — ტურისტულ-ალპინისტური კლუბი "ტონთიო" (გორი)
9. გია ჰანკურიშვილი — ბათუმი
10. აკაკი ხერგიანი — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

**ფედერაცია, კიდევ ერთხელ, ღრმა მწუხარებით აღნიშნავს, რომ 2002 წელს, სამხრეთ უშბაზე ასვლისას, დაიღუპა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი, თსუ-ს გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბის წევრი ვანო გულედანი.**

## უორდროპი თიანეთში

*ეს ჩვენი ისტორიაა*

სახალხო ფალავანი კულა გლდანელი (1852-1933) გამოჩენილი ქველმოქმედი იყო.

ვაჟა-ფშაველას უფროსი ძმა გიორგი რაზიკაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. ვაჟამაც გადაწყვიტა იქ იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცდების ჩაბარება. მაგრამ მგოსანს სახსრები არ გააჩნდა პეტერბურგში გასამგზავრებლად. სანდრო რაზიკაშვილის ცნობით, იმ დროს ვაჟასთვის ფულადი დახმარება გამოჩენილ ქართველ ფალავანს კულა გლდანელს გაუწევია.

ერთხელ, როდესაც ვაჟა სხვა ფშაველებთან ერთად კულას ბაკში იყო ჩამომჯდარი (ბაკი — საქონლის დასამწყდევი და ურმების დასაყენებელი ეზო-ყურე), კულამ ვაჟასთან კერძო საუბრის დროს გაიგო მისი განზრახვა. კულას უთქვამს, — მოგიკვდეს კულა, თუ არ დაგეხმარო. ამ მიზნით კულა თიანეთში ასულა, გაუმართავს ჭიდაობა და მთელი შემოსავალი ვაჟასთვის გადაუცია.

...„საქართველოს მთავარი ხიბლი მის ხალხშია" — ამბობს ოლივერ უორდროპი თავის წიგნში „საქართველოს სამეფო" (1888 წელი, ლონდონი).

თითქმის თანატოლები იყვნენ ინგლისელი ოლივერ უორდროპი (1864-1948) და კულა გლდანელი.

„საქართველოს სამეფოს" ერთ-ერთ თავში ოლივერი წერს: — „უნდა მოგახსენოთ, რომ მე წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება დავსწრებოდი ერთ-ერთ საუცხოო შეჯიბრებას, სადაც ფალავანი გლდანელი შეება ვინმე მამაც იმერელ მოჭიდავეს. ჭიდაობა უაღრესად საინტერესო გამოდგა და ამავე დროს დიდად მეამა, როცა აფიშებიდან გავიგე, რომ შეჯიბრების მთელი შემოსავალი განკუთვნილი იყო ვილაცა ჭაბუკის დასახმარებლად, რომელსაც სათანადო სახსრები არ გააჩნდა პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად...

ნამდვილად ჰერკულესს მოგაგონებდათ, სახითაც მეტად მიმზიდველი გახლდათ, მაყურებლის სიმპათია მისკენ იყო და მართლაც გაამართლა უძლეველის სახელი, როცა რამდენიმე წუთში გააკრა მიწას დასავლეთელი ფალავანი".

ჭაბუკი ოლივერის ინტერესი სამხრეთ კავკასიის მთიანი და მიმზიდველი ქვეყნის — საქართველოს მიმართ გამოჩენილი მოგზაურისა და მთამსვლელის დაგლას ფრეშფილდის სამი ილუსტრირებული წიგნის წაკითხვის შემდეგ გაიზარდა, რომელშიც გადმოცემული იყო კავკასიაში და საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. ყოველივე ამას აძლიერებდა იაზონისა და არგონავტების კავშირი საქართველოსთან.

მოგზაური, მთარგმნელი და დიპლომატი ოლივერ ჯონ უორდროპი გენიალური „ვეფხისტყაოსნის" პირველი ინგლისურად მთარგმნელის (პროზაულად), მარჯორი უორდროპის (1869-1909) ძმა იყო. საქართველოზე შეყვარებულმა და-ძმამ კარგად შეისწავლეს ქართული ენა. დიდი ილია ჭავჭავაძეც კი მოიხიბლა, როდესაც მარჯორიმ ილიას მისწერა წერილი უშეცდომო ქართულით, სადაც ითხოვდა „განდეგილის" ინგლისურად გამოქვეყნების უფლებას. ეს წერილი ილიამ „ივერიის" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა.



*ოლივერ უორდროპი (მარჯვნიდან მეოთხე) დავით სარაჯიშვილის (მარჯვნიდან მესამე) სახლში. 1919 წელი.*

1919 წელს ოლივერ უორდროპი ამიერკავკასიაში ბრიტანეთის მთავარ რწმუნებულად დაინიშნა. ეს უინსტონ ჩერჩილის წინადადება იყო, რამაც ძალზე გაახარა ოლივერი. მხურვალედ მიესალმა მას საქართველოს მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელი ნოე ჟორდანია.



*27 წლის კულა გლდანელი ჩოხაში*

საქართველოზე შეყვარებული უორდროპის მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში, რაღა თქმა უნდა, ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ, 1921 წელს შეწყდა...

სხვათა შორის, ოლივერმა უმცროს ქალიშვილს, საქართველოსა და წმინდა ნინოს სიყვარულით სახელად ნინო დაარქვა, რომელიც 1916 წელს დაიბადა.

შემდგომში (1930 წელს) ოლივერმა ლონდონში „საქართველოს ისტორიული საზოგადოება" ჩამოაყალიბა.

75 წელი დასჭირდა, რათა 1995 წლის შემოდგომაზე თბილისში ოლივერ უორდროპის შემდეგ ბრიტანეთის საელჩო კვლავ გახსნილიყო.

ჩვენში ერთ დროს ასე პოპულარული უორდროპების სახელი დიდი ქართული ჭიდაობის ქომაგებისთვისაც ძვირფასია, ოლივერ უორდროპმა ხომ „მთის არწივის" — ვაჟა-ფშაველასა და ფალავან კულა გლდანელის სახელი ჯერ კიდევ 115 წლის წინათ გააცნო მსოფლიოს.

სხვათა შორის, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენში გამოიცა ოლივერ უორდროპის ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწერილი „საქართველოს სამეფოს" ქართული თარგმანი.

**გაბრიელ ბარჯაძე**

განხილვის წესით

## მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საკითხები

საქართველოში, ბოლო ათწლეულში მომხდარმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კატაკლიზმებმა საგრძნობლად შეაფერხა ყურადღება მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საკითხებისადმი. მწირი ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომელსაც გამოყოფს სახელმწიფო მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის, სპორტული დაოსტატების განვითარებისა და ამაღლებისათვის, სრულიად არასაკმარისია. განათლების სისტემის რეორგანიზაციაში ფიზიკურ აღზრდას არ უჭირავს ჯეროვანი ადგილი.

სახელმწიფოსა და სპორტული თუ არასპორტული ორგანიზაციების ძალისხმევის შესუსტებამ, ფიზიკური აღზრდისადმი არასახელმწიფოებრივმა მიდგომამ, მკვეთრად შეზღუდა მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობა, მათი სპორტული მომზადების დონე. საგანგაშოა ქართულ ჯარში გაწვეულთა ფიზიკური მომზადების დონე. სტატისტიკის მოუშველიებლადაც კარგად ჩანს თუ როგორ შემცირდა ბავშვთა-მოზარდთა სპორტულ სკოლებში, გუნდებში, სექციებში მომეცადინეთა რაოდენობა. არადამაკმაყოფილებელია სპეციალისტთა მომზადება — გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება. ისიც მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ შესუსტდა სახელმწიფო კონტროლი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის პროცესი. ბევრგან საერთოდ არ ტარდება, ანდა, დაბალ დონეზე ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, სავალალო მდგომარეობაშია სპორტული ნაგებობების და ბაზების უდიდესი ნაწილი, ქვეყანაში არ არის სპორტული ინვენტარის, მოწყობილობების ფორმის დამამზადებელი საწარმო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1978 წლის 21 ნოემბრის გენერალურ კონფერენციაზე მიღებულ ფიზიკური აღზრდის ქარტიაში ნათქვამია: „ფიზიკური აღზრდა და სპორტი არ შემოისაზღვრება მარტო ფიზიკური აღზრდითა და ჯანმრთელობის გამაგრებით, არამედ ის ხელს უწყობს ადამიანის მთლიან და ჰარმონიულ განვითარებას".

თანამედროვე სპორტული საქმიანობა იდეოლოგიურად ეფუძნება ცნებებს ***„ოლიმპიზმი"*** და ***„ოლიმპიური მოძრაობა"***.

ოლიმპიზმის, ოლიმპიური მოძრაობის მიზანია სპორტის, ფიზიკური აღზრდის შერწყმით განათლებასა და კულტურასთან, ჩამოაყალიბოს ცხოვრების გზა, რომელსაც „საფუძვლად ექნება ძალისხმევით მოპოვებული სიხარული, კარგი მაგალითის ძალა და ეთიკის ძირეული, უნივერსალური პრინციპების პატივისცემა" (ოლიმპიური ქარტია).

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და საქართველოს განათლების სამინისტრომ ამ მიმართებით გადადგეს პირველი ნაბიჯები, მაგრამ გასაკეთებელი ძალიან ბევრია. პირველ რიგში მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაზე, მათ სპორტით დასაქმებაზე ზრუნვამ თავის ასახვა უნდა ჰპოვოს ქვეყანაში მიმდინარე განათლების სისტემის რეორგანიზაციაში.

სპორტს დიდი როლი აკისრია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, მის სტაბილიზაციაში, სოციალური დაძაბულობის შენელებაში. ბუნებითა და მოწოდებით იგი საზოგადოების მოკავშირეა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა გამრავლება, ზნეობრივი საფუძვლების დამკვიდრება, ბავშვთა და მოზარდთა სოციალიზაცია, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობისა და ეკონომიკის განვითარება და, აქედან გამომდინარე, საბოლოო შედეგი, — მოსახლეობის ცხოვრებისა და ყოფის ამაღლება-გაუმჯობესება.

საკითხთა ასე დაყენება და მათი შემდგომი წარმატებით გადაწყვეტა, მოითხოვს მოზარდთა ფიზიკურ აღზრდისა და სპორტისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, მართვაში სტრუქტურულ ცვლილებებს, ახალი ფორმებისა და საშუალებების დანერგვას ***ოლიმპიზმის*** სულისკვეთებით.

საქართველოში მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული დაოსტატების განვითარებას მრავალათწლეულიანი ისტორია და გამოცდილება გააჩნია. რაც წარმატებით ინერგებოდა სხვა სახელმწიფოებში, ჩვენთან კი დღეს დეგრადაციას განიცდის. ახლა მას მრავალი „მამობილი" ჰყავს (განათლების სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, მუნიციპალური ორგანოები, კერძო სტრუქტურა), რაც მიუთითებს საქმიანობის არამიზნობრიობაზე და არაკოლეგიალობაზე.

უცხო ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ და ანალიზმა მიგვიყვანა გადაწყვეტილებამდე ფართო აუდიტორიისათვის შემოგვეთავაზებინა საკითხის გადაწყვეტის ჩვენებური ხედვა. ვფიქრობთ,

იხ. მე-3 გვ.

## თქვენთვის, ერუდიტებო!

ოლიმპიური ვიქტორინა

***1. იყო თუ არა შემთხვევა, ოლიმპიური თამაშების გახსნისას ოლიმპიური ცეცხლი არა სპორტსმენს, არამედ სხვას აენთოს, თუ იყო სად მოხდა ეს?***

ა — ეს მოხდა რომში, 1960 წელს

ბ — ეს მოხდა ტოკიოში, 1964 წელს

გ — ასეთი რამ შეუძლებელია მომხდარიყო.

***2. სად და რომელ წელს მიანდეს ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის ბოლო ეტაპის დაგვირგვინება მანამდე უცნობ ჭაბუკს, რომელიც შემდეგ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მორბენალი გახდა. ვინ იყო იგი?***

ა — მელბურნი, 1956 წელი, კლარკი

ბ — ტოკიო, 1964 წელი.

***3. რომელი მეჩირადნე ცნობილი სპორტსმენი იყო დისკვალიფიცირებული მთელი 20 წელიწადი სოკ-ის მიერ ვითომდა სამოყვარულო სპორტის სტატუსის დარღვევისთვის?***

ა — ჯესი ოუენსი

ბ — პაავო ნურმი

გ — ასეთი რამ არ მომხდარა

***4. ქვეყანაში გაბატონებული ორი ენის თანაბარი უფლების აღსანიშნავად, თამაშების გახსნისას ორ სპორტსმენს აენთო ცეცხლი?***

ა — ასეთი შემთხვევა არ ყოფილა

ბ — ეს იყო 1952 წელს, ჰელსინკში

გ — ეს მოხდა 1976 წელს, მონრეალში

***5. პირველად რომელ წელს გაიარა ოლიმპიურმა ცეცხლმა საქართველოს ტერიტორიაზე?***

ა — ასეთი რამ არ მომხდარა

ბ — 1980 წელს, მოსკოვში თამაშების ჩატარებისას

გ — ეს მოხდა ორჯერ — 1956 და 1960 წლებში.

*მოგვაწოდეს საერთაშორისო ოლიმპიურ-ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულმა მოსწავლეებმა — ძმებმა თორნიკე და ცოტნე გაჩეჩილაძეებმა*

პასუხები იხ. მე-6 გვ.

# ზურაბ აზმაიფარაშვილი: ჩემი ოცნებაა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება საქართველოში

**გასული წლის ბოლოს ნამდვილი სენსაცია მოხდა ჩვენს საჭადრაკო სამყაროში. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი ფიდეს ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ამგვარი პატივი და აღიარება აქამდე არც ერთ ქართველს არ რგებია, ფიდეს ხელმძღვანელობაში მოხვედრა დიდი ქვეყნების წარმომადგენელთათვისაც მიუწვდომელ ოცნებად რჩება.**

**დღეს ზურაბ აზმაიფარაშვილი ჩვენი რედაქციის სტუმარია.**



● ***ბატონო ზურაბ, რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ფიდეს ვიცე-პრეზიდენტად არჩევა?***

— სიმართლე რომ გითხრათ, მთლად მოულოდნელი არ ყოფილა. ბოლო წლებში სერიოზული და საქმიანი ურთიერთობები მქონდა ფიდეს ხელმძღვანელებთან და, კერძოდ, პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვთან. ჩვენ ერთად ვფიქრობდით საჭადრაკო სამყაროს გაერთიანებაზე, ერთად ვამუშავებდით მსოფლიო ჩემპიონატების ფორმულას, მთავარ და პრინციპულ საკითხებში ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა, რამაც გამოიწვია პიროვნული დაახლოება. ასევე კარგი ურთიერთობა მქონდა პირველ ვიცე-პრეზიდენტ მაკროპულოსთან. ის კი არა, როცა ურთიერთობა დაიძაბა პირველ ვიცე-პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს შორის, მათი შერიგება მე ვითავე და მოვახერხე კიდეც, ასე რომ, ფიდეში შინაურ კაცად მთვლიდნენ და ხშირად ჭკუასაც მეკითხებოდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში ძირითადად ჩინოვნიკები მოღვაწეობდნენ, წლების მანძილზე ბიუროკრატიული სისტემა ჩამოყალიბდა და ეტყობა დადგა დრო, პროფესიონალ მოჭადრაკეებსაც მიეღებინათ მონაწილეობა საჭადრაკო ცხოვრების ორგანიზებასა და მართვაში. ალბათ, ამ ნიშნითაც შეარჩიეს ჩემი კანდიდატურა. ჩამოვიდა თუ არა ილიუმჟინოვი საჭადრაკო ოლიმპიადაზე ბლედში, მაშინვე ჩემთან მოვიდა, გამიხმო დარბაზიდან და გამომკითხა აზრი ფიდეს მოახლოებული არჩევნების შესახებ. ვიცე-პრეზიდენტობაც მაშინ შემომთავაზა.

● ***რამდენი წევრისგან შედგება ფიდეს ხელმძღვანელობა?***

— ფიდეს პრეზიდენტის საბჭოში შედის 15 კაცი: პრეზიდენტი, პირველი ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, ხაზინადარი, საპატიო პრეზიდენტი, ექვსი ვიცე-პრეზიდენტი და ოთხი კონტინენტალური პრეზიდენტი.

საბჭო წელიწადში ოთხჯერ იკრიბება და იხილავს მსოფლიო ჩემპიონატების გამართვის საკითხს, მსჯელობს ჭადრაკის განვითარებაზე ზოგადად, ამოწმებს კომერციულ საკითხებს, ამტკიცებს ბიუჯეტს და ა.შ.

● ***უშუალოდ, თქვენ რა გევალებათ?***

— პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ჯგუფი ბერძენი მაკროპულოსის, ისრაელელი გელფერისა და ჩემი შემადგენლობით და დაგვევალა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფორმულის ჩამოყალიბება და პრაღის დოკუმენტის სისრულეში მოყვანა (2002 წლის 6 მაისს პრაღაში ხელი მოეწერა დოკუმენტს ჭადრაკის სამყაროს გაერთიანების შესახებ). პრინციპში ჩვენ უკვე დავითანხმეთ როგორც გარი კასპაროვი, ისე მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ფიდეს ვერსიით რუსლან პონომარიოვი, მიუსხდნენ საჭადრაკო დაფას. ეს იქნება ჩვენი დიდი გამარჯვება, რადგან ფიდეს დაუბრუნდება გარი კასპაროვი, გამთლიანდება გახლეჩილი საჭადრაკო სამყარო. აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ ამის მიღწევა ადვილი არ ყოფილა, საკმაოდ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რადგან როგორც წესი, მსოფლიო ჩემპიონები რთული და კაპრიზული ხალხია.

● ***როდის გაიმართება მატჩი მსოფლიო პირველობისათვის და რამდენია საპრიზო ფონდი?***

— ეს მატჩი ივნისშია დაგეგმილი, სუფთა საპრიზო ფონდი კი მილიონი დოლარია. ამჯერად მეტის შოვნა ვერ მოხერხდა, რადგან დრო იყო ცოტა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხა მთლიანად სპონსორებმა გაიღეს, ილიუმჟინოვის პირადი წილის გარეშე.

● ***წინასწარი პროგნოზით ვის მხარესაა უპირატესობა?***

— რა თქმა უნდა, კასპაროვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რეიტინგითაა 100-ქულიანი სხვაობა, ალარაფერს ვამბობ თეორიულ მომზადებაზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე. თუმცა, ერთი სერიოზული სისუსტე კასპაროვსაც აქვს — თუ ვინმემ მოახერხა მისი წყობიდან გამოყვანა, იგი რიგითი დიდოსტატის დონეზე რჩება.

● ***რას მოუტანს ჭადრაკს ფიდეს გაერთიანება?***

— ფიდეს გაერთიანება, კასპაროვის დაბრუნება, სხვას რომ თავი დავანებოთ, მომასწავებელია იმისა, რომ მოიზიდება კორპორატიული თანხები, რაც ჭადრაკის შემდგომ განვითარებას მოხმარდება.

კასპაროვი არის გვარი, რომელიც ყველამ იცის, მისი ამა თუ იმ ტურნირში მონაწილეობა უკვე დიდი რეკლამაა და ეს კომპანიები სიამოვნებით ჩადებენ ფულს. რას ვიზამთ, კომერციულ მხარეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, არის კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც ასევე კასპაროვის სახელს უკავშირდება. ჭადრაკის სწავლება უნდა დაიწყოს სკოლაში, როგორც აუცილებელი საგნისა. შეიძლება ყველა მოჭადრაკე არ გამოვიდეს, მაგრამ, როცა თამაში ეცოდინება, მისი სიყვარულიც მუდამ გაჰყვება, რაც ბევრად გაზრდის ინტერესს ამ უძველესი თამაშისადმი. სხვათა შორის, ასეთი ექსპერიმენტი უკვე ჩატარდა ქუთაისში, წელს აჭარაში დაიწყება ამ პროგრამის განხორციელება, რამაც არ შეიძლება თავისი დადებითი შედეგი არ გამოიღოს.

● ***რას მოუტანს თქვენი ახალი თანამდებობა უშუალოდ ქართულ ჭადრაკს?***

— თვითონ ის ფაქტი, რომ ქართველი კაცი ფიდეს ვიცე-პრეზიდენტია, აძლიერებს საქართველოს პოზიციებს საჭადრაკო სამყაროში. თქვენ წარმოიდგინეთ, აქამდე ყველაზე მაღალი პოსტი ქალთა კომისიის ხელმძღვანელობა იყო, ერთხანს ალექსანდრე ჩიკვაიძე ფიდეს აღმასკომის წევრი გახლდათ. ეს იყო და ეს ჩვენი წარმომადგენლობა ფიდეში. და ერთბაშად საპრეზიდენტო საბჭოს წევრობა! რა თქმა უნდა, ამ ახალი სტატუსით უფრო ადვილი იქნება ჩვენი მოჭადრაკეების დახმარება, ტურნირებში გაგზავნა, ჩემპიონატების მასპინძლობა, საჭადრაკო აკადემიის ჩამოყალიბება და სხვა.

● ***ხელს ხომ არ შეუშლის ეს თანამდებობა ზურაბ აზმაიფარაშვილს, როგორც პროფესიონალ მოჭადრაკეს?***

— არ არის გამორიცხული, რომ შეუშალოს, პრაქტიკულ და ორგანიზაციულ საკითხებს დიდი დრო მიაქვს, შესაძლოა იმდენ ტურნირში ველარ მოვახერხო თამაში, რაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, მატერიალურად დამაზარალებს. საქმე ის გახლავთ, რომ ეს თანამდებობა ხელფასს არ ითვალისწინებს, საზოგადოებრივ საწყისებზეა, თუმცა არ არის გამორიცხული, გარკვეული ჰონორარი მივიღოთ შემრიგებელი ჯგუფის წევრებმა. მიუხედავად დატვირთვისა, ვაპირებ მონაწილეობა მივიღო დიდ ასპარეზობებში. ალბათ, მსოფლიო ჩემპიონატი აღარ დაერქმევა, მაგრამ სხვა სახელწოდებით მაინც გათამაშდება ილიუმჟინოვის ინიციატივით დაარსებული ყოველწლიური დიდი ტურნირი, რომელშიც 128 დიდოსტატი მონაწილეობს. სისტემატურად გაიმართება ევროპის ჩეპიონატები, რომლის საპრიზო ფონდი 2000 წელს იყო 50 ათასი, 2003 წელს კი 360000 დოლარი იქნება. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი მუშაობა იყო საჭირო. ამ დროში თანხა რომ 7-ჯერ გაზრდილიყო.

● ***ალბათ დადგა დრო, შევეხოთ ბოლო საჭადრაკო ოლიმპიადას, სადაც რამდენადაც ვაჟებმა გაგვახარეს, იმდენად, გაგვაწბილეს ჩვენმა მოჭადრაკე ქალბატონებმა.***

— ქალების ასეთი წარუმატებლობა ჩემთვისაც აუხსნელია. ტიტულის დაბრუნებაზე არც გვიფიქრია, მაგრამ თუ საპრიზო სამეულშიც ვერ მოვხვდებოდით, ძნელი წარმოსადგენი იყო. არადა, რა კარგად დაიწყს, ზედიზედ მოუგეს ფავორიტებს, პოზიციები გაიმყარეს, ის კი არა, 2,5 ქულით უსწრებდნენ უშუალო მდევარს. ერთმა მარცხმა გუნდს წონასწორობა დააკარგვინა, თითქოს თავგზა აებნათ, სულ უკან-უკან წავიდნენ. ძალზე დიდია ჩვენი მოჭადრაკე ქალების დამსახურება, ძნელია მათ მიმართ საყვედურის თქმა, მაგრამ ეტყობა უნდა შევეგუოთ აზრს, რომ ეპოქა დამთავრდა... სისხლის გადასხმაა საჭირო, ახალი ძალების მოზიდვა. სხვათა შორის, ჩვენი სახელოვანი ქალებისგან გულშემატკივარი მხოლოდ წარმატებასაა მიჩვეული და მარცხს არ პატიობს. ისინიც ასე მტკივნეულად განიცდიან ყოველგვარ მარცხს და წონასწორობას კარგავენ. ახალგაზრდებს კი ასეთი კომპლექსი არა აქვთ და უფრო თავისუფლად სხდებიან დაფასთან.

რაც შეეხება ვაჟთა გუნდს, ასეთი გადახალისება უკვე მოხდა, რამაც საბოლოო შედეგზეც იმოქმედა. სხვათა შორის, მე მზად ვიყავი პირველი დაფა სხვისთვის დამეთმო, მაგრამ გუნდის ყველა წევრმა მთხოვა, ლიდერობა ისევ გამეწია. ლიდერზე მართლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს მწვრთნელების დამსახურებაც. ვიმეორებ, გუნდის გადახალისებამ აშკარად გაამართლა, უნდა აღვნიშნო მიხეილ მჭედლიშვილის საუკეთესო თამაში, ასევე 17 წლის მერაბ გაგუნაშვილისა, რომელმაც 8-დან 6,5 ქულა შესძინა გუნდს.

ჩემთვის ეს ოლიმპიადა განსაკუთრებული იყო. I დაფაზე თამაშ თან ერთვოდა უამრავი პრაქტიკული თუ ორგანიზაციული საქიtხი და, მიუხედავად ყველაფრისა, [illegible] 7 ქულა ამეღო, რაც რეიტინგით 2720-ქულიანი მოჭადრაკის შედეგია. და რომ არა ბოლო ტური ტრადიციულად უხერხულ მეტოქე სომხეთთან, უთუოდ საპრიზო ადგილს მოვიპოვებდით, თუმცა IV ადგილიც საპატიოა და დიდ სამომავლო პერსპექტივებს გვისახავს.

● ***წლეულს რა ტურნირებია დაგეგმილი საქართველოში?***

— 1999 წლიდან, რაც ბათუმში მშვენიერი ჭადრაკის სასახლე აიგო, ამ ქალაქში სისტემატურად ვატარებთ დიდ საერთაშორისო ტურნირებს. ასევე დიდი სურვილი მქონდა, თბილისშიც ჩატარებულიყო რომელიმე სერიოზული ტურნირი. გავიხსენოთ, რა დონის ასპარეზობა არ გამართულა თბილისში საბჭოთა პერიოდში, დამოუკიდებლობის წლებში კი ვერაფერი მოვახერხეთ. და დღეს შეიძლება უკვე ვამცნოთ გულშემატკივარს — სექტემბერში თბილისში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თასზე.

● ***ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ ტურნირში?***

— ბევრი ცნობილი დიდოსტატი. მე დამევალა მოლაპარაკება ანატოლი კარპოვთან, ნაიჯელ შორტთან, რაფაელ ვაჰანიანთან, ასევე ჩემს ახლანდელ და ყოფილ მოწაფეებთან: თემურ რაჯაბოვთან, ეტიენ ბაკროსთან და იუდით პოლგართან. ასე რომ, ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება და იმედია ბევრი სპონსორიც ეყოლება. ასევე განზრახული გვაქვს ბათუმში კვლავ გაგრძელდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ტურნირები.

ერთ ოცნებასაც გაგიმხელთ. ფიდეში სულ ცოტა 4 წელი მაინც ვიქნები და მინდა ამ პერიოდში ერთი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება მაინც მოვასწროთ საქართველოში. ჩვენი ქვეყანა ამას უსათუოდ იმსახურებს. მართალია, ადამიანთა გატაცებების გამო იმიჯი გვაქვს შელახული გარკვეულ წრეებში, მაგრამ ამ პრობლემას, იმედია, მალე მოევლება. თანაც ფიდეს პრეზიდენტი ილიუმჟინოვი ისე კარგად უყურებს ჩვენს ქვეყანას, მხოლოდ მისი ნება რომ იყოს, ახლავე დაგვეთანხმდებოდა ამ იდეის განხორციელებაზე.

● ***ხომ არ გქონიათ შეხვედრა და საუბარი ამ თემაზე საქართველოს პრეზიდენტთან?***

— ჯერჯერობით არა. მიმაჩნია, რომ ასეთი შეხვედრა აუცილებლად უნდა შედგეს, ვინაიდან ბევრი რამ არის გადასაწყვეტი. ჭადრაკი სპორტის მასობრივი სახეობაა, მსოფლიოში ნახევარი მილიარდი კაცი მაინც თამაშობს მას და, როცა ასეთი დიდი ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს შენი ქვეყნიდან ირჩევენ, ვფიქრობ, ეს შანსი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. არჩევნების დროს ილიუმჟინოვმა ხაზი გაუსვა ჩემს პიროვნულ თვისებებს და იმ გარემოებას, რომ მე ვარ წარმომადგენელი დიდი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყნისა, სადაც ძალიან უყვართ და აფასებენ ჭადრაკს. ფიდეს პრეზიდენტთან ერთად გვაქვს ბევრი გეგმა და პროექტი, რომლის განხორციელება სულაც არ არის შეუძლებელი, თუ საერთო ძალისხმევა იქნება. მჯერა, ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობა, ხელიდან არ გაუშვებს ამ უნიკალურ შანსს.

ესაუბრა **უჩა შერაზადიშვილი**
*„ლიტერატურული საქართველო“,*
*10-16 იანვარი, 2003 წ.*



*კირსან ილუმჟინოვი და ზურაბ აზმაიფარაშვილი*

(მეორე გვერდიდან)

# მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საკითხები

ეს ეხმიანება საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 1997 წლის 22 დეკემბრის ბრძანებულებას „ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ“.

**პროგრამა**

**საქართველოს მოზარდთა ოლიმპიური მოძრაობა**

**ძირითადი პრინციპები**

საქართველოს მოზარდთა ოლიმპიური მოძრაობის ძირითადი პრინციპებია:

— ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი-საზოგადოებრივი ბაზა;

— სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი, ეროვნული პოლიტიკის გატარება მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის;

— საქმიანობის დემოკრატიული პრინციპები. მათ განხორციელებაში თითოეული მოზარდის თავისუფალი მონაწილეობა სქესის, ფიზიკური განვითარებისა და ეროვნების მიუხედავად;

— კავშირი ოლიმპიურ მოძრაობასთან, სპორტის ჰუმანური ხასიათი და ერთიანი სწრაფვა მოზარდი თაობის ფიზიკური სრულყოფისათვის;

— სიმბოლიკისა და ატრიბუტიკის ერთიანი სისტემა;

— ყველა სახის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების, ოლიმპიური მომზადების ცენტრებისა და გაერთიანებების, არსებულისა და ახლად დაარსებულთა ბაზაზე, სპორტული რეზერვების ეფექტური სისტემის შექმნა;

— სპორტული და სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ინფრასტრუქტურის განვითარება (სპორტული ნაგებობანი, ბაზები, ინვენტარი, ფორმა და ა.შ.) შეღავათიან ფასებში მათი დათმობა მოზარდთა მეცადინეობისათვის;

— საგიტაციო-პროპაგანდისტული სისტემის განვითარება-გაუმჯობესება (ტელევიზია, რადიო, მასმედია). სპეციალური საგამომცემლო სისტემის დაფუძნება;

— ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის აუცილებელი ჩატარება ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში;

— მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში. მასობრივი სპორტის — „სპორტი — ყველასათვის!“ და მაღალი კლასის სპორტის ურთიერთკავშირის მოგვარება-გააქტიურება.

— ფიზიკური აღზრდისა და მწვრთნელ-სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლება;

— მოზარდთა და, საერთოდ, სპორტული მედიცინის განვითარება;

— ერთიანი, ცენტრალური სასწავლო-მეთოდური და სასწავლო-სპორტული ბანკის შექმნა, მოზარდთა ყველა ტიპის სპორტული ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი კუთვნილებისა;

— მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური განვითარების მონიტორინგის ჩატარება;

— კავშირის დამყარება სხვადასხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან, სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან.

**პროგრამის სუბიექტები**

პროგრამის სუბიექტები არის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (ტიპისა და კუთვნილების მიუხედავად, ბავშვთა-მოზარდთა, ოლიმპიური მომზადების, სპეციალური სასპორტო სკოლები, ოლიმპიური მომზადების ცენტრები და გაერთიანებები, კუთვნილების მიუხედავად), რომლებიც ემსახურებიან მოზარდი თაობის ფიზიკურ და სპორტულ აღზრდას, მოწოდებულნი არიან უზრუნველყონ ამ მიმართულებით მათ წინაშე ამოცანების რეალიზაცია.

## პროგრამის სახელწოდება

პროგრამის სახელწოდებაა **„საქართველოს მოზარდი ოლიმპიელი“** (სახელი პირობითია, იგი შეიძლება შეირჩეს კონკურსით). ასეთი მიმართულება იძლევა სტიმულირებას ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს მიეცეს ოლიმპიზმის საფუძველი.

დასასრული შემდეგ ნომერში



# ფუტზალის ასოციაციის დამფუძნებელთა ყრილობა

**მინიფეხბურთის დიდი აურზაური**

საქართველოს მინიფეხბურთის ასოციაციაში მომხდარი გაუგებრობა, კონსპირაციული თავყრილობა, რომელმაც თვითნებურად და დაუსწრებლად გადააყენა თანამდებობიდან მინიფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი გურამ დურგლიშვილი და მის ადგილზე აკაკი ქავთარაძე აირჩია, უფლებამოსილი არ არის. ასე კატეგორიულად განმარტა მომხდარი ფაქტი სფფ-ს ხელმძღვანელობამ. სფფ-ის სუბიექტი ვერ იქნება ისეთი ასოციაცია, რომელიც საიდუმლოდ იკრიბება, ატარებს არჩევნებს და არაფერს ატყობინებს სფფ-ს ხელმძღვანელებს, არ ითვალისწინებს სფფ-ს წესდებას, მაშინ, როდესაც, სფფ-ს ყველა სუბიექტის წესდება უნდა შეესაბამებოდეს სფფ-ს წესდებას. ასეთ ვითარებას, ალბათ, მეტნაკლებად ნათელს მოჰფენს *დღეს 13 საათზე* სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გასამართი საქართველოს ფუტზალის (დარბაზის ფეხბურთის) ასოციაციის დამფუძნებელთა ყრილობა.

# სტაბილიზატორი თუ დაუდევრობა?

**რა იყო ბოლოს და ბოლოს 12 ოქტომბერს „ლოკომოტივის" სტადიონზე შუქის ჩაქრობის მიზეზი? უშიშროების სამინისტრო გამოძიებას აგრძელებს, ხოლო ენერგეტიკოსი ექსპერტების კომისიის მიერ გავრცელებულ დასკვნაში ჩამოყალიბებული კითხვა-პასუხებით ირკვევა, რომ მწყობრიდან გამოვიდა თურქული ფირმა „ჩათინქაიას" მიერ დამზადებული და დამონტაჟებული სტაბილიზატორი, რომელსაც ჰქონია ქარხნული წუნი. სწორედ ამ ნაკლმა ფატალურად თავი იჩინა და სტადიონზე სინათლის გამორთვა გამოიწვია საქართველო — რუსეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩისას (საცდელი ჩართვისას და დამონტაჟების შემდეგ ელექტრო განათების ეს დანადგარი გამართულად მუშაობდა და ამრიგად, ელექტრო ენერგიის გათიშვის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო). დასკვნაში ნათქვამია ისიც, რომ: „... რომ არა „ლოკომოტივის" სტადიონის ხელმძღვანელობის დაუდევრობა და ტექნიკური პერსონალის ერთგვარი დაბნეულობა ელექტრო ენერგიის მოწოდების დროული აღდგენა და მატჩის ჩაშლის თავიდან აცილება პრაქტიკულად შესაძლებელი იქნებოდა".**

**მოკლედ, სტაბილიზატორის გაუმართაობა, თუ სტადიონის პერსონალის დაუდევრობა? ეს კითხვა პასუხს ითხოვს. გამოძიება არ დასრულებულა, იგი გრძელდება.**

## ასახელებენ სფფ-ს ყრილობის დელეგატებს

### აჭარა

აჭარის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე სფფ-ს VI ყრილობის დელეგატები დაასახელეს. სფფ-ს აღმასკომის წევრობის კანდიდატებად წამოაყენეს: ნოდარ დიასამიძე (აჭარის ფფ-ის პრეზიდენტი) და ალექსანდრე ჩივაძე (საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი).

ყრილობაზე დელეგატებს წარმოადგენენ: მალხაზ ჩიჩუა (აჭარის ფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი), ავთანდილ გრეკოვი (სფფ-ს პრეზიდენტის თანაშემწე), თენგიზ გოგიტიძე (ს.კ. „ქობულეთის" ვიცე-პრეზიდენტი და ლევან ქორიძე (აჭარის ფფ-ის ბავშვთა ფეხბურთის კურატორი).

### იმერეთი

**იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე სფფ-ს ყრილობის დელეგატებად დასახელდნენ: გარი სორდია (იფფ-ს პრეზიდენტი), ვალერი მანაგაძე (იფფ-ს ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების უფროსი), დიმა რამიშვილი (ს.კ. „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტი).**

**სფფ-ს აღმასკომის წევრობის კანდიდატებად წარადგინეს: გარი სორდია და ლერი სულაბერიძე (სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი).**

# „ტორპედო" მოსკოვისთვის გაემზადა

დღეს, რუსეთის დედაქალაქში გაფრინდება ქუთაისის „ტორპედო" და ხვალ პირველ მატჩს ჩაატარებს დსთ-ს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. გუნდმა ტურნირისთვის მზადება 2 იანვრიდან დაიწყო. ბაზაზე ინტენსიურ ვარჯიშებს „მერანი-ოლიმპთან" ორი საკონტროლო მატჩიც დაუმატა. ქუთაისელებს მოსკოვში არ ეყოლებათ ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი. ჭმოკლიძე და დიდავა თურქეთში „ქოჯაელისფორში" ისინჯებიან, ხოლო ზირაქიშვილი ტრავმირებულია და მენისკს მკურნალობს. ტურნირის პირველ ეტაპზე ჩვენი ჩემპიონის მეტოქეები, იცით, რუსეთის ახალი ჩემპიონი მოსკოვის „ლოკომოტივი", ყაზახური „ირტიში" და ყირგიზეთის სკა-პვო იქნებიან. მოსკოვში „ტორპედო" ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ***მეკარეები:*** ზვიად სტურუა, გრიგოლ ჰანტურია; ***მცველები:*** მიხეილ მახვილაძე, ვახტანგ ხვადაგიანი, ვახტანგ აკოფიანი, ლაშა ჰელიძე, დავით გამეზარდაშვილი: ***ნახევარმცველები:*** მალხაზ ასათიანი, შოთა ბაბუნაშვილი, შოთა ჩომახიძე, რომან ახალკაცი, კახა კვეტენაძე, ზურაბ იონანიძე, გაგა ჩხეტიანი, გიორგი ნერგაძე, ავთანდილ ჰელიშვილი; ***თავდამსხმელები:*** ანდრეი პოროშინი, ზვიად ქუთათელაძე, დავით ოდიკაძე.

# საქართველოს 2002-2003 წლების XIV ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი • II ეტაპი

### I–VI ადგილებისათვის

**I წრე**

*24-25 თებერვალი*
თასი 1/16
*28 თებერვალი, 1 მარტი.*
თასი 1/16 ფინალი
*5-6 მარტი*
თასი 1/8 ფინალი
*9-10 მარტი*
თასი 1/8 ფინალი

**I ტური**
*14 მარტი, პარასკევი*
ტორპედო ქუთაისი — დინამო თბილისი
კოლხეთი 1913 ფოთი — ლოკომოტივი თბილისი
სიონი ბოლნისი — ვიტ ჯორჯია თბილისი
*18 მარტი, სამშაბათი*
თასი 1/4 ფინალი

**II ტური**
*22 მარტი, შაბათი*
ლოკომოტივი — სიონი
*23 მარტი, კვირა*
დინამო — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — კოლხეთი-1913

**III ტური**
*6 აპრილი, კვირა*
კოლხეთი-1913 — დინამო
სიონი — ტორპედო
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი
*10 აპრილი, ხუთშაბათი*
თასი 1/4 ფინალი

**IV ტური**
*15 აპრილი, სამშაბათი*
დინამო — ლოკომოტივი
ტორპედო — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი-1913 — სიონი
*19 აპრილი, შაბათი*
თასი 1/2 ფინალი

**V ტური**
*23 აპრილი, ოთხშაბათი*
სიონი — დინამო
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი-1913
*24 აპრილი, ხუთშაბათი*
ლოკომოტივი — ტორპედო

**II წრე**

**VI ტური**
*2 მაისი, პარასკევი*
ვიტ ჯორჯია — სიონი
*3 მაისი, შაბათი*
დინამო — ტორპედო
ლოკომოტივი — კოლხეთი-1913
*7 მაისი, ოთხშაბათი*
თასი 1/2 ფინალი

**VII ტური**
*11 მაისი, კვირა*
ვიტ ჯორჯია — დინამო
კოლხეთი-1913 — ტორპედო
სიონი — ლოკომოტივი

**VIII ტური**
*17 მაისი, შაბათი*
დინამო — კოლხეთი-1913
*18 მაისი, კვირა*
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — სიონი

**IX ტური**
*22 მაისი, ხუთშაბათი*
ლოკომოტივი — დინამო
ვიტ ჯორჯია — ტორპედო
სიონი — კოლხეთი
*26 მაისი, ორშაბათი*
თასის ფინალი

**X ტური**
*30 მაისი, პარასკევი*
დინამო — სიონი
კოლხეთი-1913 — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — ლოკომოტივი

## ანონსი




„101 ვარჯიში 7-11 წლის ნორჩი ფეხბურთელებისთვის" ანუ გადადგით პირველი ნაბიჯები საფეხბურთო ოსტატობის მწვერვალისკენ. ამ ვარჯიშებით დაიწყო დაოსტატება ბექჰემმა, ინგლისის სხვა საფეხბურთო ვარსკვლავმა.

პირველად საქართველოში, პირველად ქართულ ენაზე, მხოლოდ „ლელოს" „ქართული ფეხბურთის" ფურცლებზე 4 თებერვლიდან გაეცნობით ზემოხსენებულ 101 მაგიურ ვარჯიშს, რომლის ავტორია ცნობილი ინგლისელი სპეციალისტი მალკოლმ კუკი და, როგორც წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, განკუთვნილია არა მხოლოდ ჭაბუკი ფეხბურთელებისთვის, არამედ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისა და სექციებისთვის, სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის, ჭაბუკ ფეხბურთელთა მშობლებისთვის, მკითხველთა ფართო წრისთვის.

მაშ ასე, 4 თებერვლიდან...

სპორტულ სკოლებს, სექციებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შეუძლიათ, ჩვენი გაზეთის ნომრები ზემოხსენებული პუბლიკაციით ნახევარ ფასში მიიღონ მხოლოდ რედაქციაში მიღებული წინასწარი დაკვეთით.

**„ლელო", „ქართული ფეხბურთი"**

# საქართველოს 2002-2003 წლების XIV ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი • II ეტაპი

### VII–XII ადგილებისათვის

**I წრე**

*24-25 თებერვალი*
თასი 1/16 ფინალი
*28 თებერვალი, 1 მარტი*
თასი 1/16 ფინალი
*5-6 მარტი*
თასი 1/8 ფინალი
*9-10 მარტი*
თასი 1/8 ფინალი

**I ტური**
*14 მარტი, პარასკევი*
მეტალურგი ზესტაფონი — დილა გორი
მერანი-91 ოლიმპი თბილისი — დინამო ბათუმი
მილანი წნორი — გორდა-2000 რუსთავი
*18 მარტი, სამშაბათი*
თასი 1/4 ფინალი

**II ტური**
*22 მარტი, შაბათი*
დილა — გორდა-2000
დინამო — მილანი
მეტალურგი — მერანი-91 ოლიმპი

**III ტური**
*5 აპრილი, შაბათი*
მერანი-91 ოლიმპი — დილა
მილანი — მეტალურგი
გორდა-2000 — დინამო
*10 აპრილი, ხუთშაბათი*
თასი 1/4 ფინალი

**IV ტური**
*14 აპრილი, ორშაბათი*
დილა — დინამო
მეტალურგი — გორდა-2000
მერანი-91 ოლიმპი — მილანი
*19 აპრილი, შაბათი*
თასი 1/2 ფინალი

**V ტური**
*23 აპრილი, ოთხშაბათი*
მილანი — დილა
გორდა-2000 — მერანი-91 ოლიმპი
დინამო — მეტალურგი

**II წრე**

**VI ტური**
*2 მაისი, პარასკევი*
დილა — მეტალურგი
დინამო — მერანი-91 ოლიმპი
გორდა-2000 — მილანი



*7 მაისი, ოთხშაბათი*
თასი 1/2 ფინალი

**VII ტური**
*10 მაისი, შაბათი*
გორდა-2000 — დილა
მილანი — დინამო
მერანი-91 ოლიმპი — მეტალურგი

**VIII ტური**
*17 მაისი, შაბათი*
დილა — მერანი-91 ოლიმპი
მეტალურგი — მილანი
დინამო — გორდა-2000

**IX ტური**
*22 მაისი, ხუთშაბათი*
დინამო — დილა
გორდა-2000 — მეტალურგი
მილანი — მერანი-91 ოლიმპი
*26 მაისი, ორშაბათი*
თასის ფინალი

**X ტური**
*30 მაისი, პარასკევი*
დილა — მილანი
მერანი-91 ოლიმპი — გორდა-2000
მეტალურგი — დინამო

ახალი თაობის ფეხბურთელები

# კობა კობაიძე: „მატჩის წაგების შემდეგ სულ იმაზე ვფიქრობ, მე რა შეცდომა დავუშვი“...

**კობაიძე კობა — დაიბადა 1979 წლის 10 ნოემბერს, თელავში. ბურთი პატარაობიდანვე შეიყვარა. თუმცა 10 წლისა უკვე ფეხბურთელობას იკვეხნიდა. ნამდვილ ფეხბურთელად კი თელავის „კახეთს“ მოევლინა. ამ გუნდში მიაღწია პირველ წარმატებას, როცა გუნდი რესპუბლიკურ ფინალში ჭაბუკთა შორის, „კოკა-კოლას“ თასს დაეუფლა. გუნდს მაშინ მისი მამა, გივი კობაიძე წვრთნიდა. 1996 წელს, 16 წლის კობა ამავე გუნდის უფროსი თაობის ფეხბურთელებს შეუერთდა, სადაც უკვე მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი იყო. ამჟერად ზესტაფონის „მეტალურგში“ თამაშობს. უცოლოა, ჰყავს მშობლები.**




● ***თელავის „კახეთი“ ის გუნდია, რომელმაც ერთ დროს დიდ წარმატებებს მიაღწია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. რას ნიშნავს შენთვის იქ გატარებული წლები?***

— მართლაც, „კახეთი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო. მაგრამ მოხდა ისე, შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადავიდა. ამას დაუფინანსებლობა დაერთო და გუნდი დაიშალა. რაც შეეხება იქ გატარებულ წლებს, კარგად მახსენდება, ნამდვილ ფეხბურთელად პირველად თავი სწორედ ამ გუნდში შევიცანი.

● ***ეს მიზეზები იყო „კახეთის“ დატოვების მიზეზი?***

— რა თქმა უნდა. უმაღლესი ლიგიდან გავარდნის შემდეგ წნორის „მილანში“ გავაგრძელე თამაში. იქ მთელი ერთი წელიწადი დავყავი.

● ***ამჟერად ზესტაფონის „მეტალურგში“ თამაშობ. IX ტურის შემდეგ იმერლებს არც ერთი თამაში არ მოუგიათ. არ გაშფოთებს გუნდის უკუსვლა?***

— „მეტალურგის“ პრეზიდენტი სანამ ნუგზარ მდივანი იყო, ხელფასებსაც და პრემიებსაც დროულად გვაძლევდნენ, ეროვნულ ჩემპიონატში მე-5 ადგილზეც ვიყავით. „ვიტ ჯორჯიასთან“ ჩაშლილი თამაშის შემდეგ პრეზიდენტმა გუნდი დატოვა. აი, ამის შემდეგ დაიწყო უიმედობა, ვაგებთ თამაშებს. ძალიან კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა.

● ***რამდენი ხანია, რაც არ მიგიღიათ ხელფასი?***

— ოთხ თვეზე მეტია.

● ***„ტორპედოსთან“ გამოუცხადებლობას როგორ ახსნი?***

— იგივე პრობლემით. თანაც, მაშინ, გამგეობა დაგვპირდა ხელფასი აგინაზღაურდებათო, მაგრამ შეპირება შეპირებად დარჩა. პროტესტის ნიშნად არ წავედით ქუთაისში, თუმცა შედეგი ამანაც არ გამოიღო. წაგებად ჩაგვეთვალა.

● ***სეზონის განახლების წინ, II ეტაპზე, ცხრილის მიხედვით „მეტალურგი“ მეორე ექვსეულის სათავეშია, ანუ ითამაშებთ VII-XII ადგილისთვის. რას ფიქრობთ, ისევ აპირებთ თამაშის ჩაშლას?***

— პირადად მე ყველაფერს ვილონებ გუნდის წარმატებისათვის, მაგრამ თუ ვითარება არ შეიცვალა და პრობლემები გადაუჭრელი დარჩა, გუნდში დამრჩენი ნამდვილად აღარ ვარ. ალბათ, სხვა გზას ვეწევი.

● ***ესე იგი, გადახვალ ახალ გუნდში, მიწვევები გაქვს?***

— კი, არის რამდენიმე გუნდიდან, მაგრამ ჯერ არაფრის თქმა არ მსურს. თუ სხვაგან გადავედი და ძალიან დაგაინტერესებს, გპირდები, პირველი ამას შენ შეიტყობ.

● ***პირველი მწვრთნელი გივი კობაიძე იყო, მამაშენი. თუ გქონია ისეთი შემთხვევა, რომ მამის გამო გუნდში ყველაფერს გპატიობდნენ?***

— არა, პირიქით. ყველაზე მეტს ჩემგან ითხოვდნენ. ალბათ, ეს სამართლიანიც იყო.

● ***თითქმის ნებისმიერი სპორტსმენი გეგმებით და... ოცნებებითაა დახუნძლული. შენც გეტყობა, გეგმებს აწყობ. შეგიძლია ერთ-ერთი მაინც გაგვანდო?***

— მთლად ისეთი საოცნებო გეგმები არ მაქვს. ერთადერთი რაც მართლა გულით მინდა ესაა მოვხვდე ნორმალურ გუნდში, სადაც ნორმალური საფეხბურთო და ადამიანური პირობები იქნება.

● ***შენი ნება რომ იყოს, საქართველოს რომელ გუნდში ისურვებდი თამაშს?***

— ალბათ „დინამოში“.

● ***რატომ?***

— ასე მგონია ეს ტრადიციაა და ყველა ფეხბურთელი ოცნებობს „დინამოში“ ითამაშოს. არც მე ვარ გამონაკლისი.

● ***საქართველოში პრობლემა ხომ „გადავჭერით“, გარეთ, უცხოეთის რომელი ქვეყნის გუნდში ითამაშებდი?***

— იტალიის „მილანში“.

● ***ალბათ, ჩემპიონთა ლიგაზეც „მილანს“ გულშემატკივრობ.***

— დიახ. ვფიქრობ სწორედ „მილანი“ გავა ფინალში.

● ***კარგა ხანია მანქანით აღარ ჩანხარ, ფეხბურთელი უმანქანოდ?***

— გამიყიდეს...

● ***რატომ, დაგსაჭდეს?***

— შეიძლება ითქვას, კი. ალბათ, საჭირო არც იყო ჩემთვის მანქანა. ძალიან ხშირად მაჩერებდნენ, მაჯარიმებდნენ, თუმცა სერიოზული კონფლიქტი არასოდეს მომსვლია.

● ***ინსპექტორებთან რომ არ კინკლაობ, კარგია, საერთოდ, არ ხარ კონფლიქტური, თუ...***

— ფიცხი და კონფლიქტური ნამდვილად არ ვარ. შეიძლება ითქვას „მშვიდობის მტრედი“ ვარ (იცინის).

● ***ე.ი. შეგიძლია მოჩხუბრებიც შეარიგო?***

— თუ საჭიროა, კი. შეიძლება დავიკვეხნო, სიტყვებით სხვათა დამშვიდება ურიგოდ არ გამომდის... რა, არ მეტყობა, რომ ძალიან მშვიდი და წყნარი ვარ?

● ***როგორ არა. ნამდვილად გეტყობა. კობა, საუბრის თემა შევცვალოთ, ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ. სპორტსმენს დასვენება ესაჭიროება, რათა ძალები აღიდგინოს არა მარტო მომდევნო თამაშებისთვის, საერთოდაც. შენ როგორ ისვენებ?***

— სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ხნით მიწევს დასვენება. დეკემბერში, დაგვითხოვეს თუ არა, კახეთში დაიწყო ტურნირი, სადაც მეც ვმონაწილეობდი. შემდეგ „ბენდელას თასზე“ ვითამაშეთ. მერე პირდაპირ შეკრება დაგვეწყო. მხოლოდ ზაფხულში თუ ვისვენებ ასე თუ ისე, შედარებით, ნორმალურად.

● ***დროის იმ მონაკვეთში, რაც შენს განკარგულებაშია, როგორ ერთობი?***

— სიმართლე გითხრა, ყველაზე უფრო კითხვა მიყვარს. წიგნი აღინჯებს და ამშვიდებს ადამიანს, ახშობს მასში აგრესიულობას...

● ***ვინ არის შენი სამაგალითო ლიტერატურული გმირი?***

— გმირის გამორჩევა ნამდვილად გამიჭირდება, მაგრამ ძალიან მიყვარს ჭაბუა ამირეჯიბის და კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების კითხვა. გარდა ამისა, ძალიან მსიამოვნებს, როცა მონატრებულ მეგობრებს ვხვდები.

● ***ფეხბურთში ვინაა შენი კერპი?***

— პაოლო მალდინი.

● ***მონატრებულ მეგობრებთან შეხვედრა მსიამოვნებსო, თქვით, სვამთ?***

— ხშირად არა. თუ ბიჭები ვქეიფობთ, მაშინ ზომიერად დალევის უფლებას ვიტოვებ.

● ***რომელი ღვინოთი ქეიფობთ ხოლმე?***

— კახურით, შავით.

● ***ყველაზე მეტად რა გაღიზიანებს?***

— არ მიყვარს და ვერ ვიტან ფარისევლობას.

● ***როცა მარტო რჩები, რაზე ფიქრობ?***

— თუ თამაში წავაგეთ, ეს უსიამოვნო განცდა არ მასვენებს, სულ ვფიქრობ, მე რა შეცდომა დავუშვი...

● ***ფეხბურთის სამყაროში გადასახლებული არჩევანით კმაყოფილი ხარ?***

— საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს.

● ***რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება?***

— მინდა ვიცხოვრო ისეთ საქართველოში, სადაც ყველაფერთან ერთად ყურადღება სპორტსაც დაეთმობა.

● ***თითქმის წელიწადია ზესტაფონში ცხოვრობ, როგორ დაახასიათებ ამ ქალაქს?***

— ქალაქი მაინცდამაინც ძალიან არ მომწონს. აი გოგონები კი, ძალიან კარგები არიან (იცინის!)

● ***საცოლეც ხომ არ შეგირჩევია?***

— არა, სამწუხაროდ, ჯერ არა.

● ***საუბრის ბოლოს იქნებ რამე კურიოზი გაიხსენო?***

— ახლა, რაც უმალვე გამახსენდა ერთია: თელავში თამაშის დროს გასახდელში მთელი გუნდის ტანსაცმელი მოიპარეს. ტრუსებით და ბუცებით გაგვიშვეს...

ესაუბრა
ლელა ჭანკოტაძე

# ბავშვთა ფეხბურთი
## სამშობაო არდადეგებზე



**1992-93 წლიანებში გამარჯვებული №8 სპორტული სკოლა: I რიგში:** [illegible]



***1992-93 წლიანებში გამარჯვებული „XXI საუკუნე-1“. I რიგში (მარცხნიდან):*** მ. უგრეხელიძე, გ. შელია, თ. მანოშვილი, ზ. ბასილაშვილი, ვ. ხუდოიანი, გ. ლომიაშვილი, გ. თოხვაძე, მ. კაპანაძე, ი. უგრეხელიძე; ***II რიგში:*** მწ. რ. ჭანჭალეიშვილი, ა. ჯაყელი, ა. შუკაკიძე, მ. საბლიაშვილი, მწ. გ. ბუაძე, ა. ქავთარაძე, გ. ბალარჯიშვილი, მ. მაძღარაშვილი, მწ. გ. ბუაძე; ***III რიგში:*** გ. ძინძიბაძე, რ. მესხი, გ. ფრანგიშვილი, ბ. იმნაძე, ი. ბერიძე, გ. ჯიბლაძე, გ. ქურდაძე, ი. ავალიანი, შ. თოხვაძე.

ზამთრის საშობაო არდადეგების პერიოდში, ქ. თბილისის განათლების განყოფილების სპორტულმა დარბაზმა, უმასპინძლა ბავშვთა საფეხბურთო ტურნირებს მინიფეხბურთში.

1990-91 წლებში ტურნირი მიეძღვნა საბურთალოს რაიონის სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორის, ეროვნული კატეგორიის არბიტრის შალვა ბერიძის ხსოვნას. მონაწილეობდნენ თბილისისა და გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებების საფეხბურთო სკოლები. პირველობა მოიპოვა თბილისის №8 სპორტულმა სკოლამ (დირექტორი ბ. მაჩაბლიშვილი), მეორე იყო გარდაბნის გ. გურულიშვილის სახელობის საფეხბურთო სკოლა (დირექტორი: გ. გურულიშვილი), მესამე — თბილისის №179 საშ. სკოლის გუნდი (დირექტორი გ. ძნელაძე).

1992-93 წლებში ტურნირი მიეძღვნა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გივი ბუაძეს დაბადებიდან 65 და სპორტული მოღვაწეობის 50 წლისთავს. ამ ადამიანმა მთელი სამწვრთნელო კარიერა გაატარა ბავშვთა სპორტში, მისი აღზრდილები კი გამოდიან როგორც ეროვნულ, ისე საზღვარგარეთულ კლუბებში. იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს ბავშვებთან მუშაობას. ადგილები აქ ასე განაწილდა: 1. „XXI საუკუნე — 1“, 2. „XXI საუკუნე-2“ (მწვრთნელი გ. ბუაძე), 3. „თბილისი — 2000“ (მწვრთნელი ი. ანჩაბაძე). განაწილდა პრიზები, გამოვლინდნენ პერსპექტიული ფეხბურთელები. უნდა აღინიშნოს თბილისის განათლების განყოფილების უფროსის ედიშერ მაჩაიძის და სპორტული სექტორის უფროსის მიხეილ ფილიევის ძალისხმევა დედაქალაქის განათლების სისტემაში სპორტული ტრადიციების აღორძინებლად.

საპატიო სტუმრის სტატუსით ტურნირს ესწრებოდა იტალიის „მილანიდან“ ბრუნო საკი ოჯახის წევრებთან ერთად.

ტურნირები ორგანიზაციულად უზრუნველჰყვეს განათლების განყოფილების სპორტული სკოლების ხელმძღვანელებმა ბიჭიკო მაჩაბლიშვილმა და გოჩა გუგეშაშვილმა.



*1992-93 წლიანებში III პრიზიორი „თბილისი 2000“.*

## გაიმართა ნბა-ს საკალათბურთო ასოციაციის მორიგი მატჩები:

# ნბა

საკრამენტო – დალასი 123:94; დენვერი – იუტა ჯაზი 81:92, დენვერში ცქიტიშვილმა 15 წუთი ითამაშა (15 წთ: 0 პლუს 1 მოხსნა, 2 გადაცემა), ბოსტონ სელტიკსი – ატლანტა ჰოუქსი 86:66; ფილადელფია – ნიუ ჯერსი 108:107; ინდიანა – მაიამი 104:81. მაიამიში სტეფანიამ 21 წუთი ითამაშა (8 პლუს 5 მოხსნა, 2 გადაცემა); ტორონტო – მილუოკი 87:99; ჰიუტსონი – ფინიკსი 102:96; ახალი ორლეანი – ლოს-ანჯელეს ლეიკერსი 82:90; პორტლენდი – მემფისი 100:92; ლოს-ანჯელეს კლიპერსი – მინესოტა 64:95; გოლდენ სტეიტი – კლივლენდი 108:80.

# სათადარიგო საბურავისა «ფორმულა-1» და რადიოს გარეშე

ფია-ს პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ „ფორმულა-1"-ის კომისიის მორიგ სხდომაზე, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად მოახდინა რევოლუცია ყველაზე პოპულარული ავტორბოლის ისტორიაში. არ დაელოდა რა გუნდებიდან შენიშვნებსა და წინადადებებს რეგლამენტთან დაკავშირებით, დასამტკიცებლად გაიტანა თავისი ვარიანტი.

მოსლიმ, უბრალოდ, ჩამოთვალა ცვლილებათა ნუსხა, რომელთაგან თითოეული ცალკე აღებული თავადაა რევოლუციის ტოლფასი. პრეზიდენტი არ შეუდგა ცვლილებების განხილვას და არც გუნდების წარმომადგენელთა რეაგირებას გაუწია ანგარიში. ისინი ფაქტის წინაშე დააყენა, მორჩა და გათავდა! შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 28 ოქტომბერს, კომისიის პირველ სხდომაზე ყველანი შეთანხმდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ქულების დარიცხვასა და შეჯიბრების ფორმატში (კვალიფიკაციისა და ტესტების ჩათვლით) შეიტანდნენ ცვლილებებს. კერძოდ, გამოიყენებდნენ მხოლოდ ორი ტიპის საბურავებს. შეთანხმდნენ აგრეთვე, ბელგიის გრან-პრის გაუქმებაზე და ა.შ.



ამის შემდეგ გუნდებს ეთხოვა თავად გამოენახათ ოპტიმალური ვარიანტი რბოლების ხარჯების შესამცირებლად, ვინაიდან ისინი მუდამ წუწუნებდნენ, თითოეული გრან-პრის კოლოსალურ ხარჯებზე, „ეროუზმა" კი ფინანსური გაჭირვების გამო საერთოდ შეწყვიტა არსებობა. და აი, ფია-მ დამოუკიდებლად მიიღო ახალი გადაწყვეტილებები.

„ჩვენი მოთმინება ამოიწურა და გადავწყვიტეთ ვიმოქმედოთ დამოუკიდებლად. ჩვენი ახალი ცვლილებები უკვე დავაგზავნეთ გუნდებში შესასწავლად", – განაცხადა მოსლიმ.

პირველი, რაც თვალში საცემია, ისაა, რომ 2003 წლიდან იკრძალება სათადარიგო ბოლიდის გამოყენება, რასაც ექსპერტები უმძიმეს განაჩენად მიიჩნევენ. გაიხსენეთ, თუნდაც გასულ სეზონში რამდენჯერ იხსნა პილოტების სიცოცხლე და კვლავ მისცა რბოლის გაგრძელების შესაძლებლობა სათადარიგო ბოლიდების გამოყენებამ. იკრძალება აგრეთვე ნებისმიერი რადიოკავშირი გუნდსა და პილოტს შორის, რაც ცხადია, დამატებით ტაქტიკურ სირთულეებს შექმნის. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება, გუნდური ტაქტიკა ყოველთვის იარსებებს, მაგრამ, როგორ?

მთელი რიგი ცვლილებები ეხება აგრეთვე საკვალიფიკაციო და სატესტო რბოლებს.

---

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ივანე ნიკოლაძეს შვილის
ნიკოლოზ ნიკოლაძის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნობს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, მსოფლიო ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თემურ ყაზარაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

---

ქ. თბილისი მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტსკოლა და პირადად მისი დირექტორი ელდარ ფარჯანაძე ღრმა სამძიმარს უცხადებენ მსოფლიო ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს თეიმურაზ ყაზარაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

---

„ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს თეიმურაზ ყაზარაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

---

„ლელოს" რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე გაზეთის თანამშრომელს თენგიზ ჩობანიძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს თენგიზ ჩობანიძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

მეგობარი მოჭადრაკეები და კოლეგა-ჟურნალისტები სამძიმარს უცხადებენ თენგიზ ჩობანიძეს დედის გარდაცვალების გამო.

---

„ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს ვანო ნიკოლაძეს შვილის გარდაცვალების გამო.

---

# კარლო ადეიშვილი (პაპა კარლო)



ძველით ახალი წლის დამდეგს დატოვა ეს წუთისოფელი მრავლისმნახველმა და ჭირგამოვლილმა, მუდამ კეთილი თვალით მზირალმა, გულისხმიერმა, უღალატო მეგობარმა, პედაგოგმა და ძველი თაობის ცნობილმა კალათბურთელმა ვერეს უბნის მშვენებამ — კარლო ადეიშვილმა.

დაიბადა 1927 წლის 20 სექტემბერს ქ. თბილისში, ვერეს ძველ უბანში, ვარდისუბნის ქუჩაზე, 4 ნომერში, სადაც იზრდებოდა და მთელი ცხოვრება მეგობრობდა დოდო აბაშიძესთან, შოთა სალუქვაძესთან, გივი ძნელაძესთან, რეზო ფაღავასთან, ელგუჯა ბუაჩიძესთან, ირაკლი ონოფრიშვილთან და ქალაქის მრავალი თაობის საუკეთესო შვილებთან.

სკოლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა 1950 წელს და სიცოცხლის ბოლომდე იქვე მუშაობდა პედაგოგად.

სტუდენტობისას დაოსტატდა როგორც კალათბურთელი. 20 წლიანი სპორტული კარიერის განმავლობაში თამაშობდა უფროსი და საშუალო თაობის კალათბურთელებთან, როგორიც იყვნენ: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ოთარ ქორქაშვილი, სულიკო თორთლაძე, ოთარ სულაბერიძე, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე, გოგი ბახტურიძე, ანზორ ლეჟავა, გურამ მინაშვილი, გურამ აბაშიძე, ვაჟა გვანცელაძე, ვახტანგ ანანიშვილი, გივი რუხაძე, ფრიდონ გერსამია, კოკა კალანდაძე, მურმან ხაჭაპურიძე, ილარიონ ხაზარაძე, არჩილ ოდიშარია, დიზი ქერქაძე, თემო ქოფაროშვილი, ომარ სიამაშვილი, ვახტანგ ცხადაძე და სხვ. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

იყო ამიერკავკასიის, „ქარიშხალას" ჩემპიონი და თასის მფლობელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების წევრი, საკავშირო სპარტაკიადის პრიზიორი... მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. შემდეგ, პედაგოგიურ მოღვაწეობას, თითქმის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უთავსებდა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სპორტულ მუშაობას.

ახალგაზრდობის ნამდვილი ქომაგი იყო, გაჭირვების ნამდვილი ტალკვესი, ყველას დამხმარე, პატრონი და დამრიგებელი. სძულდა სიყალბე და არც სხვას პატიობდა მანკიერებას. იყო ნაღდი წინამძღოლი ცხოვრებაში და კალათბურთშიც. ადამიანს სიკეთე მუდამ უფასდება, თუ ეს მადლიერება გულიდან მოდის. კარლო ადეიშვილი იმ ბედნიერთა რიცხვშია, ვინც ბევრი გასცა და მისდაუნებურად სანაცვლოდაც ბევრი მიიღო — უპირველესად საერთო სიყვარული. ამიტომაც მას საყვარული პაპა კარლო უწოდეს — ეს ნამდვილად ის კაცი იყო, „რომელიც დააკლდა ქალაქს!"

საქართველოს
კალათბურთის ფედერაცია,
მეგობრები.

---

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლა და პირადად მისი დირექტორი ელდარ ფარჯანაძე ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნობენ ამავე სკოლის მწვრთნელს, თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ივანე ნიკოლაძეს შვილის
ნიკოლოზ ნიკოლაძის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




17 იანვარი, პარასკევი

***НТВ плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.20, 15.35, 19.20), „ფუტბოლ მუნდიალი" (15.05), ფეხბურთის არდადეგების დღეებში: ჩემპიონთა ლიგა. „ვალენსია" – „ბაზელი" (17.20), გერმანიის ჩემპიონატი. „ბაიერი" – „ჰამბურგი" (21.30), ჩემპიონთა ლიგა. აეკ-ი – „რეალი" (23.15), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.00), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (2.05, 23.45), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (16.40), ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (17.25), ტაილანდური კრივი (18.00), სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.10). სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (22.45). *EUROSPORT*. ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (6.00, 12.30, 19.15, 0.30, 4.00), სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (15.30). სნოუბორდი. მსოფლიო თასი (16.45), სუპერკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. აშშ (23.00).

18 იანვარი, შაბათი

***НТВ.*** სუპერკრივი. მოჰამედ ალი, ჯო ფრეზერი (0.25), ***НТВ плюс футбол.*** „თანამეგობრობათა ჩემპიონთა თასი": ესტონეთის „ფლორა" – მოლდავეთის „შერიფი" (13.55), ლატვიის „სკონტო" – სომხეთის „პიუნიკი" (15.55), უკრაინის „შახტარი" – უზბეკეთის „პახთაკორი" (17.55), რუსეთის „ლოკომოტივი" – ყაზახეთის „ირტიში" (19.55). ინგლისის ჩემპიონატი (22.25), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.25). ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (4.00, 20.15). ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (9.05), სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (15.55), სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.55), ციგურებით სწრაფრბენა. სპრინტი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.40), *EUROSPORT*. ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (6.00, 12.30, 21.45, 4.00), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (15.30, 16.30, 17.15, 18.30, 20.00).

19 იანვარი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.* მსოფლიო ფეხბურთი (19.30), ***НТВ плюс футбол.*** „თანამეგობრობათა ჩემპიონთა თასი". მოლდავეთის „შერიფი" – თურქმენეთის „შაგათამი" (13.55), ბელორუსიის „ბატე" – ლატვიის „სკონტო" (15.55), საქართველოს „ტორპედო" – რუსეთის „ლოკომოტივი" (19.55), უკრაინის „შახტარი" – ლატვიის „კაუნასი" (21.50). იტალიის ჩემპიონატი (17.55, 23.30, პირდაპირი ტრანსლაცია), ესპანეთის ჩემპიონატი (1.35). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (9.05), სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.55), „დიდი რინგი" (20.00), ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (22.25), ციგურებით სწრაფრბენა. სპრინტი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.55). ***EUROSPORT***. ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (6.00, 21.00, 4.00), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 17.00, 19.00, 22.30), კრივი (0.00).

---

ნინო გურიელი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვანო და ხათუნა ნიკოლაძეების შვილის ნიკუშას გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო და ვეტერან კალათბურთელთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ვეტერანი კალათბურთელისა და აღმზრდელის, ბრწყინვალე პიროვნების
კარლო ადეიშვილის
გარდაცვალებას და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლა და პირადად მისი დირექტორი როზა ბერიკაშვილი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ამავე სკოლის თანამშრომლებს დედა-შვილს ირა და ვიქტორია კუზნეცოვებს მეუღლისა და მამის, ვეტერანი ტანმოვარჯიშის
ვალერი კუზნეცოვის
გარდაცვალების გამო.

---



## კროსვორდი № 3

თარაზულად: 3. საბჭოთა პერიოდის ცნობილი რუსი ფეხბურთელი, 7. შეჯიბრების საწყისი, 10. ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი 2008 წელს, 11. ფეხბურთელი, რომელიც გულშემატკივრებმა მოკლეს კოლუმბიაში, 13. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მშვილდოსანი, 15. შეჯიბრებისას უპირატესობის მიცემა, 16. ფეხბურთში მსოფლიო (ინგლისი) ჩემპიონატის თილისმა, 17. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 20. ვეტერანი იუგოსლაველი კალათბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 21. სპორტში ანაბოლიკების საერთო სახელწოდება.

შვეულად: 1. ბობსლეისა და ციგაობაში სამი ოლიმპიადის მონაწილე, წარმოთქვა ოლიმპიური ფიცი 1964 წელს, 2. დაბალი ხარისხის ფიგურა ჭადრაკში, 4. ინგლისელი ფეხბურთელი ლე ..., 5. ოლიმპიური ჩემპიონი, (1952 წ.) მძიმე წონის მოჭიდავე, 6. ფეხბურთელ გომეშის სახელი, 8. სპორტულ არენებზე სადემონსტრაციო დაფა, 9. ხელით სასროლი ძველებური იარაღი, გაუმჯობესებული მშვილდისარი, 12. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 13. საფრანგეთის ნაკრების მეკარე (1998 წ). 14. საჭადრაკო ფიგურა, 17. იტალიელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, 18. არგენტინელი ფეხბურთელი, 19. ქუთაისის სარაგბო კლუბი.

### კროსვორდი №2-ის პასუხები:

თარაზულად: 6. დვირი, 7. ხურცილავა, 9. შეჯიბრება, 10. ვეა, 11. ჩოხა, 12. სეტი, 13. კიი, 16. ბალი, 17. ტრიალი, 19. ციურიხი, 20. დუელი, 21. ნბა, 22. ტაიჭი.
შვეულად: 1. ბიაჯო, 2. „ტრუა", 3. ფილა, 4. ფარვა, 5. დარასელია, 6. დაშნა, 8. კრახი, 11. ჩივაძე, 13. კორიდა, 14. კენია, 15. ტალინი, 18. „ლილი".

„თქვენთვის, ერუდიტებო!" (მე-2 გვ). პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ა.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. გალიცკი (1897 წ.)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლe3! მუქარა 2. მe8X.
1. ...მc7 2. ლb6X. 1. ...მf6 2. ლe7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე